



“მომავლის ფერმერის” აქტივობები 2024


2024 წლის განმავლობაში “მომავლის ფერმერის” გუნდი ადგილობრივი და საერთაშორისო ინსტიტუტების მხარდაჭერით შემდეგ მიმართულებებზე მუშაობდა:

- საქართველოს ფიტოსანიტარული შესაძლებლობების გაუმჯობესება
- კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის ექსტენცია
- სოფლის მეურნეობის ექსტენცია - კალმახის აკვაკულტურა
- კლიმატთან ადაპტირებული მეცხოველეობა



ზემოაღნიშნული პროექტების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები და აქტივობები:

● საქართველოს ფიტოსანიტარული შესაძლებლობების გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში მომზადდა მავნებელთა ინტეგრირებული მართვის (IPM) მოკლევადიანი გადამზადების პროგრამა. ინგლისურიდან ქართულ ენაზე ითარგმნა კალიფორნიის, ფრენსოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსპერტების მიერ მომზადებული მოდულები, რის ბაზაზეც ადგილობრივი ექსპერტების ჩართულობით აეწყო და ავტორიზაციას გაივლის საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამის დანერგვა იგეგმება საქართველოს 5 რეგიონში, შესაბამის უნივერსიტეტებსა და სასწავლო დაწესებულებებში. 2024 წლის განმავლობაში უნივერსიტეტებისა და სასწავლო კოლეჯების ბაზაზე ექსპერტების ჩართულობით მომზადდა კურსის ავტორიზაციისათვის საჭირო დოკუმენტები, სასწავლო დაწესებულებებს გადაეცათ სწავლების განსახორციელებლად საჭირო ინვენტარი და გადამზადდა შესაბამისი პროფილის მასწავლებლები.





საქართველოს ფიტოსანიტარული შესაძლებლობების გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში საანგარიშო წელს 3 სახელმწიფო უნივერსიტეტისა და 3 საზოგადოებრივი კოლეჯის ბაზაზე ჩატარდა ტრენერთა ტრენინგები მავნებელთა ინტეგრირებული მართვის (IPM) პროგრამის ინსტრუქტორებისთვის, რომლის ფარგლებშიც ჯამში 60-ზე მეტი ინსტრუქტორი გადამზადდა.

ტრენინგებს ესწრებოდნენ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მასწავლებლები, ადგილობრივი აგრონომები, კოლეჯების: ფაზისის, ამავისა და პრესტიჟის მასწავლებლები და სურსათის ეროვნული სააგენტოს სამმართველოს სპეციალისტები. ტრენერთა ტრენინგის მიზანი გახლდათ IPM პროგრამის მოკლევადიანი გადამზადების კურსის განმახორციელებელი ინსტრუქტორების მომზადება და მათთვის პროგრამის პრაქტიკული მიმართულებების გაცნობა.



კალმახის აკვაკულტურის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში 2024 წლის მარტში აშშ-ის აიდაჰოს შტატში მეკალმახე ფერმერებისა და სპეციალისტებისთვის სასწავლო ვიზიტი განხორციელდა, რომლის მიზანი გახლდათ საქართველოში დარგის განვითარების ხელშეწყობა, თანამედროვე ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება. სასწავლო პროგრამის ფარგლებში მონაწილეები ოფიციალური ვიზიტით ესტუმრნენ აიდაჰოს უნივერსიტეტის აკვაკულტურის კვლევით ინსტიტუტს და ერთკვირიანი ინტენსიური კურსი გაიარეს მეკალმახეობის შესახებ.

კურსი მოიცავდა როგორც თეორიულ სწავლებას, ასევე - პრაქტიკულ ვიზიტებს ადგილობრივ ფერმებსა და გადამამუშავებელ საწარმოებში, თევზის საკვების მწარმოებელ უმსხვილეს კომპანიებში აშშ-ში. სასწავლო პროგრამის ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ კალმახის კვების მენეჯმენტს და სპეციფიკაციას; გავრცელებულ დაავადებებს და მათ მართვას; ბიოსაფრთხოებას; ფერმის მოწყობას; წყლის ხარისხის და სხვა მახასიათებლების კონტროლსა და მონიტორინგს. მათთვის დამატებით თეორიული და პრაქტიკული სწავლება ჩაატარეს მისისიპის უნივერსიტეტიდან მოწვეულმა სპეციალისტებმაც. ჯგუფის წევრებმა ექსპერტების ზედამხედველობით თავად გაკვეთეს თევზი, აიღეს ნიმუშები, დააკვირდნენ მიკროსკოპულად. მათ მოინახულეს აიდაჰოს უნივერსიტეტის აკვაკულტურის კვლევითი ინსტიტუტის საექსპერიმენტო ლაბორატორია, რომელიც უახლესი დანადგარებითაა აღჭურვილი და სადაც უმოკლეს დროში ტარდება დაავადების, ბაქტერიის, ვირუსის თუ სხვა პრობლემური საკითხის დიაგნოსტიკა და კვლევა. ისინი დააკვირდნენ უშუალოდ კვლევებისა და ცდების პროცესს, საშუალება მიეცათ დაესვათ შეკითხვები და მიეღოთ პასუხები ექსპერტებისგან.





მიმდინარე წლის აგვისტოში აჭარის მეკალმახე ფერმერებისთვის ჩატარდა ერთ დღიანი ტრენინგი, თემაზე: საკალმახე მეურნეობის მართვის ფინანსური ასპექტები. ტრენინგის მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია ფერმის ეფექტურად მართვისათვის საჭირო ყოველდღიური ჩანაწერების წარმოებისა და ფინანსურის ანგარიშგების პრინციპების შესახებ. მათ გადაეცათ აიდაჰოს უნივერსიტეტის ექსპერტების მიერ მომზადებული მასალები და ცხრილები, რომელთა გამოყენებაც შეუძლიათ ყოველდღიური ტექნიკური და ფინანსური ოპერაციების მონიტორინგისა და საქმიანობის უფრო ეფექტურად განხორციელების მიზნით. ტრენინგში მონაწილე ფერმერებს გადაეცათ შესაბამისი სერთიფიკატები. აღნიშნული აქტივობა განხორციელდა კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის ექსტენციის პროექტის ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მიერ.





2024 წლის სექტემბერში საქართველოში საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდნენ აიდაჰოსა და მისისიპის სახელმწიფო უნივერსიტეტების ექსპერტები. ვიზიტის ძირითადი მიზანი იყო აჭარის საკალმახე მეურნეობებში სადემონსტრაციო ფერმების შერჩევა და საჭიროებების ანალიზი.

ექსპერტებმა, ასევე, ჩამოიტანეს მათ მიერ გასულ წელს აღებული ნიმუშების შედეგები და ფერმერებს პირადად გაუზიარეს. ვიზიტის მეორე ნახევარი დაეთმო გურიის, სამცხე-ჯავახეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში სხვადასხვა საკალმახე მეურნეობის დათვალიერებას და არსებული ვითარების გაცნობას. სტუმრებმა მოინახულეს როგორც საშუალო, ასევე ინდუსტრიული მეურნეობები და სალიფსიტეები, გაეცნენ მათი ფუნქციონირების პრინციპებს და ძირითად გამოწვევებს. მეკალმახე ექსპერტებთან ერთად აღნიშნულ ვიზიტში მონაწილეობდნენ USDA-ის საქართველოს ოფისისა და "მომავლის ფერმერის" წარმომადგენლები. აღნიშნული აქტივობა განხორციელდა კლიმატკონივრული სოფლის მეურნეობის ექსტენციის პროექტის ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მიერ.



კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის ექსტენციის პროექტის ფარგლებში შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ექსტენციის ცენტრის ბაზაზე, უნივერსიტეტის რექტორის ხელმძღვანელობითა და აჭარის ა/რ-ის სოფლის მეურნეობისა და განათლების სამინისტროების მონაწილეობით, ექსტენციის სამეთვალყურეო საბჭო ჩამოყალიბდა, რომელიც აერთიანებს 3 სამუშაო ჯგუფს, განსაზღვრული კონკრეტული მიმართულებით. აღნიშნული ჯგუფები მუშაობენ საბჭოს წევრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განსახორციელებლად, სხვადასხვა საკვანძო მხარეებთან კოორდინაციით. ექსტენციის საბჭოსა და სამუშაო ჯგუფების შეხვედრები 2024 წელს შემდეგი თანმიმდევრობით არის ჩატარებული:

- განათლებისა და ექსტენციის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა - 20 თებერვალი
- სამეთვალყურეო საბჭოს მეორე სხდომა - 13 მაისი
- ახალგაზრდების სამუშაო ჯგუფის შეხვედრა - 17 მაისი





10-11 ივნისს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ექსტენციის ცენტრის ბაზაზე, აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) მხარდაჭერით სტუდენტთა აგრარული სამეცნიერო კონფერენცია 2024 ჩატარდა. კონფერენციამ გააერთიანა 40-მდე მომხსენებელი, რომლებიც წარმოადგენდნენ 10 სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებას დასავლეთ საქართველოს 4 რეგიონიდან: აჭარა, იმერეთი, სამეგრელო, გურია. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც უმაღლესი საფეხურის სტუდენტებთან (დოქტორები, მაგისტრები და ბაკალავრები) ერთად მოხსენება, ასევე, წარმოადგინეს პროფესიული საფეხურის სტუდენტებმაც. კონფერენციის მონაწილეებმა თავიანთი ნაშრომები წარმოადგინეს შემდეგი მიმართულებით:

1. კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა და მომავლის ფერმები.
 2. მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა კლიმატით შეცვლილ ლანდშაფტში.
 3. კლიმატთან ადაპტირებული მეცხოველეობა / მეფუტკრეობა / აკვაკულტურა.
- კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა უნივერსიტეტებმა და სასწავლო დაწესებულებებმა:


- ✓ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ✓ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ✓ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- ✓ წმინდა ტბელ აბუსერიძის სასწავლო უნივერსიტეტი, აჭარა
- ✓ სსიპ პროფესიული კოლეჯი "ბლექსი", ბათუმი
- ✓ სსიპ კოლეჯი "ახალი ტალღა", ქობულეთი
- ✓ სსიპ პროფესიული კოლეჯი "იბერია", ქუთაისი
- ✓ სსიპ პროფესიული კოლეჯი, "ჰორიზონტი", ოზურგეთი
- ✓ სსიპ პროფესიული კოლეჯი "ფაზისი", ფოთი.



17-20 სექტემბერს "მომავლის ფერმერმა" USDA-ის მხარდაჭერით თელავში სტუდენტურ აგრობანაკს უმასპინძლა. საქართველოს 4 რეგიონის სხვადასხვა საფეხურის სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ მოენახულებინათ კახეთის წარმატებული საწარმოები და მონაწილეობა მიეღოთ ღვინის, ყველის, ჩურჩხელის მასტერკლასებში. ასევე, აგრო ბანაკის ფარგლებში აშშ-დან სპეციალური ვიზიტით მყოფმა განათლების საერთაშორისო ექსპერტმა, ლიზა ლოქსმანმა სტუდენტებისთვის ჩაატარა სამუშაო შეხვედრები. ბანაკის მონაწილეებმა ლიზა ლოქსმანთან ერთად იმსჯელეს სტუდენტების საჭიროებებსა და გამოწვევებზე და კონკრეტული გადაწყვეტის მექანიზმებიც შეიმუშავეს. აღნიშნული აქტივობა განხორციელდა კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის ექსტენციის ახალგაზრდული პროგრამების მიმართულების ფარგლებში.



- კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის ექსტენციის პროექტის ფარგლებში ახალგაზრდების სოფლის მეურნეობის დარგებით დაინტერესების მიზნით მნიშვნელოვან ინიციატივას ჩაეყარა საფუძველი: 2024 წლის ივლისში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის 3 სტუდენტი სრული დაფინანსებით გაემგზავრა აშშ-ში ტექსასის Prairie View A&M უნივერსიტეტში საზაფხულო სტაჟირების პროგრამაზე. სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ სამი კვირის განმავლობაში მონაწილეობა მიეღოთ უნივერსიტეტის აქტივობებში, ჩართულიყვნენ საზაფხულო ბანაკში და გაეცნონ უნივერსიტეტის კვლევით მიმართულებას. კონკურსის ფარგლებში, რამდენიმეუცხოპიანი შერჩევის შედეგად, საერთაშორისო და ქართველი ექსპერტებით დაკომპლექტებული გუნდის მიერ შეირჩა პროგრამის სამი მონაწილე.





კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის ექსტენციის პროექტის ფარგლებში აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მხარდაჭერით და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსტენციის ცენტრთან თანამშრომლობით ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგრარულ მიმართულებაზე სასათბურე მეურნეობა განახლდა და თანამედროვე, ჭკვიანი ტექნოლოგიებით აღიჭურვა. სასათბურე მეურნეობაში სტუდენტებს უკვე საშუალება აქვთ პრაქტიკული კომპონენტი თანამედროვე კომპიუტერული პროგრამით, მცენარეთა წვეთოვანი მორწყვის, ფერტიგაციის და მიკროკლიმატის კონტროლის ტექნოლოგიების მართვით შეასრულონ. სასათბურე ტერიტორია მოიცავს 400 კვ.მ ფართობს, მოხდა სათბურის სრული რეაბილიტაცია და მოდერნიზება. როგორც დაგეგმილია, სათბურში გამოიცდება ახალი ჯიშები, ახალი მეთოდები. გამოყვანილი ჩითილები და ნერგები კი გადაეცემა აჭარის სკოლის აგროკლუბებს და დაინტერესებულ ფერმერებს. სათბური ასევე იმუშავებს კერძო სექტორთან სიახლეების და ინფორმაციების გაცვლის და გაზიარების მიმართულებით.



- აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) დაფინანსებით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ექსტენციის ცენტრის ვებგვერდი extension.bsu.ge შეიქმნა, რომლის მიზანია ცენტრის მიერ განხორციელებული აქტივობების, ღონისძიებების, ცენტრის სერვისებისა და რესურსების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, ასევე, რეგიონში არსებულ დარგის სპეციალისტებთან გამარტივებული კომუნიკაცია. ვებგვერდი სამართავად გადაეცა უნივერსიტეტის აგრარული ექსტენციის ცენტრს.





მიმდინარე საანგარიშო წლის 13-17 მაისს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ექსტენციის ცენტრს აჭარაში სტუმრობდა საერთაშორისო ექსპერტი - ლიზა ლოქსმანი, რომლის მონაწილეობით განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება და აქტივობა რეგიონის ახალგაზრდების ჩართულობით. კერძოდ, აგრარული ექსტენციის ცენტრის ბაზაზე ჩატარდა აჭარის სკოლის მოსწავლეების ტრენინგი / ვორქშოფი, რის საფუძველზეც გამოვლინდა 5 ახალი სკოლა, რომლებიც ჩაერთვებიან სასკოლო აგრო კლუბების სისტემაში. ასევე, ექსტენციის ექსპერტი სტუმრობდა ბათუმის #28 და ხალას საჯარო სკოლებს, ადგილზე გაეცნო პროექტის საგრანტო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ სასათბურე აქტივობებს და დისკუსიები გამართა სკოლის მოსწავლეებთან.





2024 წელს „მომავლის ფერმერი“ აქტიურად ახორციელებდა კლიმატთან ადაპტირებული მეცხოველეობის მხარდაჭერის პროექტს, რომელზეც ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს 2023 წლის ივნისიდან. პროექტს აფინანსებს კავკასიის ალიანსების პროგრამა 2, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს SDC, ავსტრიის განვითარების სააგენტოს ADC და შვედეთის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს SIDA მხარდაჭერით, რომელსაც ახორციელებს Mercy Corps. პროექტის მთავარ მიზანს წარმოადგენს მეცხოველეობის მიმართულებით კომპეტენციებისა და უნარების განვითარება.

პროექტის ფარგლებში, კლიმატთან ადაპტირებული მეცხოველეობის თემებზე RDA-ს რეგიონული თანამშრომლები „მომავლის ფერმერის“ ხელშეწყობით, შვეიცარიელმა და ქართველმა სპეციალისტებმა გადაამზადეს. დატრენინგებულმა ექსტენციის სპეციალისტებმა საქართველოს 16 მუნიციპალიტეტში 400-მდე ფერმერს მიაწოდეს ინფორმაცია სეზონების გათვალისწინებით როგორ უნდა მართონ თავიანთი მეურნეობები კლიმატთან ადაპტირებული მიდგომების გათვალისწინებით. ისინი, ასევე, ყოველდღიურ რეჟიმში გასცემენ კონსულტაციებს რეგიონულ საკონსულტაციო ცენტრებში.



სოფლის განვითარების სააგენტოს (RDA) და კერძო ექსტენციის სპეციალისტებისთვის შემუშავდა გზამკვლევი, რომელზეც იმუშავეს დარგის სპეციალისტებმა, გავრცელდა მიზნობრივ აუდიტორიასთან.



კლიმატური ცვლილებებით გამოწვეული ზიანის შემცირება მეცხოველეობაში

მომზადდა 4 ვიდეორგოლი შემდეგ თემებზე: ანტიბიოტიკების გამოყენება; ტემპერატურული ზემოქმედება; საქონლის წველა; სადგომის მოწყობის პარამეტრები. გავრცელდა სოციალური ქსელების თემატურ ჯგუფებსა და ვებგვერდებზე (<https://www.youtube.com/watch?v=JfRe-ufO6ko>

<https://www.youtube.com/watch?v=5Ov59Ahz1ro>

<https://www.youtube.com/watch?v=O4bcsquPQQU>

<https://www.youtube.com/watch?v=GCNMEDIUT1s>).

შემუშავდა 4 სახეობის საინფორმაციო ბროშურა შემდეგ თემებზე: ანტიბიოტიკების გამოყენება მეცხოველეობაში; რა არის სადგომის მიკროკლიმატი; რა არის სიცივის სტრესი; რა არის სითბური სტრესი. გავრცელდა მიზნობრივ აუდიტორიასთან.

ანტიბიოტიკების გამოყენება გვესოველეობაში

კლიმატის ცვლილება იწვევს სიმდნის აკვიზიის, რა ფორმას ხშირად გამოიწვევს ანტიბიოტიკული რეზისტენცია

აუცილებელი ვიყოფით რომ ანტიბიოტიკი:

- საუფრთხოდ გამოიყენებ
- საუფრთხოდ გამოიყენებ
- არ არის "დაბალიაბილი სადგომი"
- არის ხელახალი კონტროლი და ანტიბიოტიკული დროულად რეაგირება

ანტიბიოტიკის რეზისტენციის გამოწვევებზე შედეგად გამოიწვევს ანტიბიოტიკორეზისტენტობა, რეაგირება უნდა დაეხმოს სასაქონლო, თუ კი, დაზარალებულ, უფრო დიდ ზიანს მიყენებს რეზისტენცია.

რა არის სითბური სტრესი?

28 °C-ზე მაღალი ტემპერატურა და დაბალი ტენიანობა ერთად ერთად რეაგირება უნდა იქონიოს სადგომში ბუნებრივად, რაც რეაგირებას იწვევს.

რაც უფრო მაღალტემპერატურაზე და დაბალი ტენიანობა, მის უფრო ხალხურ კვირა და მისი დაზარალება.

სითბური სტრესის ნიშნები:

- კონსტანტური
- ზარალი ნიშნები
- საინფორმაციო დაზარალება
- საინფორმაციო სტრესი, მისი კვირის სტრესი
- ფორმული, მაკრობიოტიკული, მისი დაზარალება

რა იწვევს სტრესი ვირუსავი?

- დაბალი ტენიანობა
- დაბალი ტენიანობა
- დაბალი ტენიანობა

რა არის სადგომის მიკროკლიმატი?

სადგომის მიკროკლიმატი სადგომის ტემპერატურაზე, ტენიანობაზე და სითბურ რეაგირებაზე, რაც რეაგირება უნდა იქონიოს სადგომში ბუნებრივად, რაც რეაგირებას იწვევს.

მაღალი ტემპერატურა და დაბალი ტენიანობა ერთად ერთად რეაგირება უნდა იქონიოს სადგომში ბუნებრივად, რაც რეაგირებას იწვევს.

მაღალი ტემპერატურა და დაბალი ტენიანობა ერთად ერთად რეაგირება უნდა იქონიოს სადგომში ბუნებრივად, რაც რეაგირებას იწვევს.

რა არის სიცივის სტრესი?

სიცივის სტრესი გამოიწვევს მათს იმის გამო, რომ ისინი გააჩნდებიან უფრო მაღალი ტემპერატურაზე, რაც რეაგირებას იწვევს.

მაღალი ტემპერატურა და დაბალი ტენიანობა ერთად ერთად რეაგირება უნდა იქონიოს სადგომში ბუნებრივად, რაც რეაგირებას იწვევს.

ბიომეტეოროლოგია!

სადაც უნდა იქონიოს ბიომეტეოროლოგია, რაც რეაგირებას იწვევს.

კლიმატთან ადაპტირებული მეცხოველეობის მიმართულებით ჩატარდა ონლაინმეხვედრები - Facebook ჯგუფში - მეცხოველე ფერმერი/ livestockfarmer - <https://www.facebook.com/groups/livestockfarmer>

**„მომავლის ფერმერის“ გუნდი მადლობას უხდის პარტნიორ
ორგანიზაციებს გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისთვის.
ვიმედოვნებთ, რომ მომავალშიც მოგვეცემა შესაძლებლობა, ჩვენი
ცოდნისა და გამოცდილების დარგის სასიკეთოდ გამოყენებისთვის.**



www.fof.ge

www.fof.edu.ge

info@fof.edu.ge